ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.01.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/15

შეკითხვა:

ადვოკატი ახორციელებს წარმომადგენლობას სამემკვიდრეო საქმეზე. კლიენტის სასარგებლოდ საქმის დასრულებისათვის სასამართლოში საჭიროა ექსპერტის დასკვნის წარდგენა. ექსპერტის დასკვნის მოთხოვნა გაჟღერებულია მოსამართლის მიერ. ადვოკატი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ექსპერტის დასკვნის წარდგენა და მიუთითებს მის კლიენტს მიიღოს შესაბამისი ზომები. მიუხედავად ამისა, კლიენტი სასამართლოში წარადგენს მისი ნაცნობი პირის დასკვნას, რომელსაც სასამართლო არ თვლის მის მიერ მოთხოვნილ ექსპერტის დასკვნად. ასეთი ფაქტი განმეორდა რამდენჯერმე, მიუხედავად ადვოკატის არაერთგზისი მითითებისა, რომ საჭირო იყო ექსპერტის დასკვნის წარდგენა. მოცემული სასამართლო პროცესების ფარგლებში ადვოკატისათვის ასეთ ფაქტების განმეორება შესაძლოა იყოს არასახარბიელო მისი პრესტიჟისათვის.

აღნიშნულის შედეგად, ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოშობილია სამართლებრივ პოზიციათა უთანხმოება-ადვოკატის მოსაზრებით, საქმის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია ექსპერტის დასკვნის წარდგენა და ამის გარეშე კიდევ ერთი სასამართლო პროცესი ჩაივლის უშედეგოდ, ხოლო კლიენტი არ იღებს სათანადო ზომებს. ადვოკატს აღარ სურს გააგრძელოს ურთიერთობა კლიენტთან. კლიენტი თავდაპირველად თანახმა იყო ურთიერთობის შეწყვეტაზე, თუმცა, რამდენჯერმე შეიცვალა პოზიცია. ადვოკატის მოსაზრებით, კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების განხორციელების გარეშე, რადგან მას აქვს საკმარისი დრო სასამართლო პროცესამდე სხვა ადვოკატთან დასაკავშირებლად, ასევე, აქვს ინფორმაცია, რომ საქმის დასრულებისათვის საჭიროა მხოლოდ ექსპერტის დასკვნის წარდგენა და იცის, თუ როგორ მოიპოვოს იგი. ადვოკატი განიხილავს სასამართლო პროცესის გადადების თაობაზე შუამდგომლობით მიმართვის საკითხსაც, რათა კლიენტს მიეცეს მეტი დრო პოზიციის სათანადოდ წარმოსადგენად, ასევე, ადვოკატის მიერ ურთერთობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ოფიცილაურად დაფიქსირება საქმეში შესაბამისი წესით. შეუძლია თუ არა ასეთ შემთხვევაში ადვოკატს შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლების ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი ადვოკატს უფლებას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების უპირატესობითაა გაჯერებული და ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია პოზიციათა უთანხმოება-ადვოკატი განუმარტავს კლიენტს მოსამართლის მითითებას, უცხადებს მის თანხმობას მოსამართლის მითითებაზე და სთხოვს ექსპერტის დასკვნის წარსადგენად შესაბამისი ზომების მიღებას, რაც იქნება საქმის კლიენტის სასარგებლოდ დასრულების საწინდარი. მიუხედავად ამისა, კლიენტი, გარკვეული მიზეზებით, არ ახორციელებს აღნიშნულ ქმედებას და წარმოადგენს მისი ნაცნობის მიერ შესრულებულ „დასკვნას“, რაც მიუღებელია სასამართლოსათვის. ასეთი ფაქტი განმეორდა არაერთგზის. შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კლიენტს აქვს ინფორმაცია ადვოკატის გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, მას არ ადგება ზიანი, რადგან აქვს საკმარისი დრო სურვილის შემთხვევაში სხვა ადვოკატთან დასაკავშირებლად და, ასევე, მან იცის რა მოქმედება და როგორ უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდეს.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატს, სავარაუდოდ შეუძლია შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა შესაბამისი წესით და პირობების გათვალისწინებით.

ადვოკატი, ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ვალდებულია შეასრულოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება და კლიენტს „დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს პოზიციათა შეუთანხმებლობა, რაც გამოიხატა კლიენტის არაერთგზისი ქმედებით, რის გამოც ვერ ხერხდება საქმის მის სასარგებლოდ დასრულება, ადვოკატს, სავარაუდოდ შეუძლია შეწყვიტოს კლიენტთან სამართლებრივი ურთიერთობა. აღიშნულის შემთხვევაში, ადვოკატმა რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ადვოკატმა „კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.“

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.